პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | სამშაბათი, 10 ივნისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 520 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გრძელდება.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში დღითი-დღე რთულდება. ეს გართულება გამოწვეულია უმთავრესად მილიერანის სურვილით დარჩეს პრეზიდენტის თანამდებობაზე. მემარცხენე ბლოკი ერიოს მეთაურობით წინააღმდეგია შეადგინოს მთავრობა, თუ მილიერანი არ გადადგება პრეზიდენტობიდან. როგორც უკანასკნელი რადიო-დეპეშები გვატყობინებენ მილიერანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაიტანოს თავისი. ამისათვის ის არავითარ საშვალებას არ ზოგავს. კაბინეტის შედგენა მან მიანდო მემარცხენე ბლოკის წარმომადგენელს ფრანსუა მარსალს, რომლის მარცხი პარლამენტში აუცილებელია. ამ რიგად მთავრობის კრიზისი დღემდის საფრანგეთში კი დაუძრელი რჩება. მაგრამ მიუხედავად ამისა მილიერანის გადადგომა აუცილებელია, რადგან ვერც ერთი მის მიერ წამოყენებული მთავრობა ვერ მიიღებს ხმის უმრავლესობას დეპუტატთა პალატაში.

მთავრობის კრიზისი იმდენად გამწვავდა, რომ სამხედრო შეიარაღებულ გადატრიალებაზეც კი ალაპარაკდნენ. უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა იმდენად შეარყია საფრანგეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საფუძველი, იმდენათ გაამწვავა სოციალურ ჯგუფების და კლასთა წინააღმდეგობანი, რომ შეუძლებელი გახადა რაიმე მტკიცე მთავრობის შედგენა და ჩაუყარა საფუძველი ახალ პოლიტიკურ კრიზისებს.

ამიერიდან პოლიტიკური კრიზისი გახდება მუდმივ სნეულებათ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკისა.

ჯერ ძნელია იმის თქმა ვინ დარჩება მთავრობის სათავეში. ვინც არ უნდა მოვიდეს ის იძულებული გახდება იცნოს საბჭოთა კავშირი.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ერთ-ერთ საფრანგეთის სოციალ-შემთანხმებელთან ჟუოსთან საუბარი. ის დიდის რიხით ლაპარაკობს: „ჩვენ საფრანგეთის სოციალისტები მომხრე ვართ საბჭოთა კავშირის ცნობისა". როგორც ლაპარაკიდან ირკვევა ამ მოთხოვნილების ავტორები არიან საფრანგეთის გამყიდველები კი არა, არამედ მშრომელთა მასები, რომლებმაც აიძულეს ყვითელი ბელადები ეცნათ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის აუცილებლობა.

საფრანგეთის მუშები მომხრე არიან საბჭოთა კავშირის ცნობის. ეს კარგად უნდა დაიმახსოვროს ყველა იმან, ვინც იკისრებს საფრანგეთის მესვეურობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის პუანკარეს ბედი.

## მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გართულდა.

### მთავრობის შედგენა საფრანგეთში

**ახალი კანდიდატი საპრემიეროთ.**

პარიზიდან მიღებული ცნობით ფრანსუა მარსალი დასთანხმდა მთავრობის შედგენას.

**საფინანსო კომისიის არჩევა.**

დეპუტატთა პალატამ საფინანსო კომისიაში აირჩია უმთავრესად მემარცხენე პარტიების კანდიდატები.

**ხმები სამხედრო გადატრიალების შესახებ.**

პარიზში გავრცელებულია ხმები თითქოს მზადდებოდეს სამხედრო გადატრიალება.

ოფიციალური გაზეთები უარყოფენ ცნობას, თითქოს მილიერანი ფიქრობდეს მიმართოს ძალადობას.

**კომპარტია ფხიზლათაა.**

საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ გამოსცა მოწოდება მუშებისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მილიერანი გენერლების დახმარებით ამზადებს სამხედრო გადატრიალებას. მოწოდებაში მიმართავენ ჯარისკაცებს ფრთხილათ იყვნენ.

**სოციალისტები და მილიერანი.**

სოციალისტები ფიქრობენ, შეიტანონ პარლამენტში რეზოლიუცია, საპარლამენტო სესიის გაგრძელების შესახებ, მანამ, სანამ არ შესდგება ახალი მთავრობა.

**კომუნისტების წინადადება.**

კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციას შეაქვს პარლამენტში რეზოლიუციის პროექტი, სადაც იქნება მოთხოვნილება, რომ პარლამენტმა გადაჭრილი აზრი გამოსთქვას მილიერანის გადადგომის შესახებ.

**უარს იტყვიან.**

ფიქრობენ, რომ ხვალ მემარცხენეების ბლოკი შეიტანს პარლამენტში განცხადებას, მარსალთან თანამშრომლობის შესახებ უარის თქმისას.

**მილიერანის მემკვიდრე.**

მილიერანის მემკვიდრეთ ასახელებენ სენატის თავმჯდომარეს გასტონ დუმერგს.

**ეროვნული ყრილობის უფლებით.**

როდესაც ფრანსუა მარსალის კაბინეტი წარუდგება დეპუტატთა პალატას, თუ მთავრობამ მიიღო ხმების უმცირესობა, მაშინ მილიერანი შეიტანს გადადგომის ქაღალდს ორივე პალატებში. ამის შემდეგ ორივე პალატა მოწვეულ იქნება, როგორც ეროვნული ყრილობა, სადაც აირჩევენ ახალ პრეზიდენტს.

**თათბირი მთავრობის შედგენისათვის.**

მარსალმა მიიღო რეიბელი, დიუპრე, დიუპუა და სხვა მოღვაწეები, რომლებიც შეჰპირდნენ თანამშრომლობას.

## ყვითელ ინტერნაციონალის კონგრესი.

### ნაციონალიზაციაზე უარი სთქვეს.

ინგლისის დელეგაციის რეზოლიუცია რკინის გზების, სამთომადნო წარმოებებისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაციონალიზაციის შესახებ უარყოფილ იქმნა კონგრესის მიერ.

**დათმობაზე მიდიან.**

ცხარე კამათის შემდეგ საორგანიზაციო კომისიამ ხმის უმრავლესობით უარჰყო ინგლისელების წინადადება საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების განახლების შესახებ. მის მაგიერ მიღებულ იქმნა სხვა დათმობითი რეზოლიუცია, რომელიც გამოთქვამს მწუხარებას მასზე, რომ საბჭოთა პროფკავშირები მათ მიერ ამსტერდამის ინტერნაციონალის დადგენილების უარყოფის გამო რჩებიან ამ უკანასკნელის გარეშე. კონგრესი წინადადებას აძლევს ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს მიიღოს ზომები საბჭოთა პროფკავშირების შეძლების-დაგვარად შესასვლელად საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში იმ პირობით, რომ არავითარი ზიანი არ მიეცეს ამსტერდამის ინტერნაციონალის ავტორიტეტს.

ფიმენი ესალმება რა ამ რეზოლიუციას, ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა პროფკავშირებთან დახლოების მომხრეები მოითხოვდენ უფრო გარკვეულ გადაწყვეტილებასო, მაგრამ ისიც სასიხარულოა, რომ მივაღწიეთ ასეთ შედეგებსაცო. ფიმენი წინადადებას იძლევა რეზოლიუციიდან ამოგდებულ იქნას სიტყვები „იმ პირობით რომ არავითარი ზიანი არ მიეცეს ამსტერდამის ინტერნაციონალის ავტორიტეტს".

მაგრამ ფიმენის წინადადება უარყვეს.

**ცარიელი სიტყვები.**

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიუთითებს 8 საათის სამუშაო დღის შესანარჩუნებლად საერთაშორისო კომპანიის საშუალების(?) ზადისის აუცილებლობაზე, და რვა საათის სამუშაო დღის შემოღებაზე ყველა იმ ქვეყნებში სადაც ის არ არსებობს.

**მე 2-რე ინტერნაციონალის ბიუროს შემადგენლობა.**

კონგრესმა აირჩია ბიურო და გენერალური საბჭო: ბიუროს თავმჯდომარეთ ინგლისელი—პერსელის თავმჯდომარის მოადგილეებათ ჟუო, მარტენსი და ლეიპარტი; მდივნებათ ბრაუნ, უდეგეს და ზასენბა.

შემდეგი კონგრესის ადგილად ინიშნება პარიზი. პერსელის სიტყვის შემდეგ, რომელმაც გამოსთქვა სურვილი საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანების შესახებ, კონგრესი იხურება.

## ავსტრიის რევოლიუციონურ კავშირების პროტესტი

ავსტრიის რევოლიუციონურ პროფკავშირებმა მოაწყვეს მიტინგი და დემონსტრაცია თავისი წევრებისა. მიტინგზე გამოვიდენ რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მსახურთა კავშირის წარმომადგენელი მოლენოვი და პროფინტერნის წარმომადგენელი კრიჩინსკი. ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ხაზს უსვამს ამსტერდამის ინტენაციონალის საბოტაჟს მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და იმ გარემოებას, რომ მუშათა მასების გავლენის ქვეშ ამსტერდამიელთა კონგრესი იძულებული გახდა გამოერკვია მთლიანი ფრონტის შექმნის შესაძლებლობა.

## საუბარი ამხ. რიკოვთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში ს. ს. რ. კ. მთავრობის თავმჯდომარე ამხანაგ რიკოვმა შემდეგი განაცხადა:

„საერთაშორისო ურთიერთობის ფრონტზე ამ უკანასკნელ ხანებში უნდა აღინიშნოს ორი უდიდესი პოლიტიკური ფაქტი.

საფრანგეთში საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ჩინეთსა და ჩვენ შორის შეთანხმება.

## საფრანგეთი ს ს რ. კავშირის ცნობის წინ

**ჩვენი უდიდესი მტერი.**

მთელი უკანასკნელი ხნის განმავლობამდე ოქტომბრის რევოლიუციის დღეებიდან დაწყებული საფრანგეთი სათავეში უდგა ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ყოველგვარ ზომებს მიმართავდენ, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა გასაბათილებლად. ინტერვენციების ყველა შემთხვევებში ადვილი შესამჩნევი იყო საფრანგეთის აგენტების ხელი. ეს უკანასკნელი, საფრანგეთის მთავრობა, ყოველ გვარ დახმარებას უწევდა ჩვენი სახელმწიფოს მოსაზღვრე წვრილ სახელმწიფოებს და აიარაღებდა მათ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ არა თუ მარტო ჩვენს წინააღმდეგ იყო საფრანგეთის მემარჯვენე ბლოკის მთავრობა ასე ამხედრებული, არამედ ის ერთი უმთავრესი იარაღი იყო სამხედრო მილიტარიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში, და თავის გარეშე ამზადებდა ახალ სისხლის მღვრელ ომებს.

გენუიაში და ჰააგაში შემდგარ კონფერენციებზე საფრანგეთი მთელი თავისი ძალ-ღონით სცდილობდა, რათა ისინი უშედეგოთ დამთავრებულიყვნენ, მაგრამ ამ მთავრობამაც ბოლოს და ბოლოს დაიწყო თავისი პოლიტიკის შეცვლა, ჩვენთან ურთიერთობაში.

**ჩვენსკენ შემობრუნება.**

ყველა ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულმა ინტერვენციების უშედეგობამ, საბჭოთა სახელმწიფოების სიმტკიცემ, ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გამობრუნებამ და ეხლანდელი ჩვენი საგარეო ვაჭრობის განვითარებამ იძულებული გახადა საფრანგეთის მემარჯვენეთა ბლოკის მთავრობა თავისი პოლიტიკა ჩვენს მიმართ შეეცვალა ჩვენს სასარგებლ-

ოდ. დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას სათავეში ახალი მთავრობას მისვლა, კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენთან ურთიერთობის საქმეს. უკანასკნელმა არჩევნებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ საფრანგეთის ხალხს მოსძულდა ომის მოლოდინსა და მშვიდობიანობის შორის დაუსრულებელი ქანავი. საფრანგეთის ხალხის უმრავლესობამ მოითხოვა უფრო მშვიდობიანური და კულტურული პოლიტიკის წარმოება. საფრანგეთის ახალი მთავრობა ჯერ კიდევ არ შემდგარა.

ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოება იმის შესახებ თუ რამდენათ მემარცხენე ბლოკის მთავრობა სავსებით შეასრულებს იმ დაპირებებს, რომლებითაც ის უმასპინძლდებოდა თავის ამომრჩევლებს ჩვენთან ურთიერთობის დაჭერაში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ახალი მთავრობის პოლიტიკა—საგრძნობლად შეიცვლება ძველის მიერ წარმოებულ პოლიტიკისაგან და მე იმედი მაქვს, რომ კერძოდ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში საგრძნობი ცვლილებები მოხდება.

### ჩვენ ვანახლებთ საფრანგეთთან სავაჭრო დამოკიდებულებას.

ძველ სამინისტროს ჩვენდამი მტრული დამოკიდებულების გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით თითქმის მოგვესპო ყოველგვარი ეკონომიური დამოკიდებულება სსრკ და საფრანგეთს შორის. მაგრამ ეხლა სსსრკ მთავრობამ გასცა დირექტივები, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები არ გაურბოდნენ საფრანგეთთან წინასწარ მოლაპარაკებას ეკონომიურ საკითხებში.

### ხელშეკრულება ჩინეთთან.

ჩვენსა და ჩინეთს შორის წარმოებულ მოლაპარაკებას ყოველმხრივ ეღობებოდნენ და ხელს უშლიდნენ უცხოელები, რომლებიც ჩინეთს ისე უყურებენ, როგორც ერთ დიდ ახალშენს მსოფლიო კაპიტალის სანავარდოთ არსებულს. საჭირო გახდა ჩინეთის ხალხის ნების ყოფის გამოჩენა, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილი ყოფილიყო.

### თანასწორობის ნიადაგზე.

ჩვენი ხელშეკრულების პრინციპი აშენებულია თანასწორობის ნიადაგზე ორივე ქვეყანათა შორის. ჩვენ უარი ვსთქვით იმ პრივილეგიებზე, რომლებიც შეურაცყოფის მიმყენებელია აღმოსავლეთისათვის, ამით ჩვენ ერთხელ კიდევ მივეცით საშუალება ჩინეთის ხალხს, რომ დარწმუნდეს ჩვენს მეგობრობაში.

---

## საუბარი ფრანგ სოციალისტ ჟუოსთან

## საფრანგეთი იცნობს ს. ს. რ. კავშირს.

ამსტერდამის ინტერნაციონალის საფრანგეთის სოციალისტების დელეგატმა ჟუომ შემდეგი განაცხადა როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს:

„მე მომხრე ვარ ს. ს რ. კავშირის იურიდიულად ცნობისა. ეს მოთხოვნილება წამოყენებული იქნა აგრეთვე საფრანგეთის პროფკავშირებისაგან. საფრანგეთის მომავალ მთავრობასთან დაწყებული მოლაპარაკება გათავდა ყოველ გვარ გართულების გარეშე. ერთად ერთი სიძნელე, რომელიც შეიძლება წამოიჭრეს იქნება მეფის დროის ვალების გადახდა საფრანგეთის წვრილი მესაკუთრეებისათვის, თუ საბჭოთა მთავრობა რა თქმა უნდა უარს განაცხადებს ამაზე.

მიუხედავად ერიოს ბუნდოვანი განცხადებისა, საბჭოთა-საფრანგეთის მომავალ დამოკიდებულებაში, შეიძლება დანამდვილებით თქმა, რომ ერიო მომხრეა საბჭოთა ს. ს. რ. იურიდიულად ცნობის.

საფრანგეთის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება მოითხოვს, რომ მომავალ საფრანგეთის მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნული იქნეს აგრეთვე ს ს. რ. კ. იურიდიულად ცნობის აუცილებლობაც.

ეკონომიური და ფინანსიური ხასიათის სადაო საკითხები გაირჩევა შემდეგში.“

### მილიერანის გადადგომა აუცილებელია.

სიფრანგეთის შინარ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ჟუომ განაცხადა, რომ მილიერანის გადადგომა აუცილებელია. პროფკავშირები მომავალი ახალი მთავრობისაგან მოითხოვენ სრულ თავისუფლებას, საყოველთაო ამნისტიას და სახალხო სამეურნეო საბჭოს შექმნას, რომელიც გადასწყვეტს ეკონომიური ხასიათის საკითხებს ხალხის ინტერესებთან შეფარდებით.

### პუანკარესებურია.

საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ ჟუომ განაცხადა: ჩვენ გვსურს რეპარაციების ნატურის სახით აღება გერმანიიდან, სადაც დაცული იქნება ექსპერტების კომისიის პროექტის თანახმად სრული მეგობრული თანამშრომლობა ორივე ხალხებს შორის. ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რათა დაცული იქნეს გერმანიის დემოკრატია რეაქციის თავდასხმისა და იერიშებისაგან.

### ორი პროფინტერნის არსებობა შეუძლებელია.

რუსეთის პროფკავშირების შესახებ ჟუომ განაცხადა, მე მოვითხოვ რუსეთის პროფკავშირების მიღებას ამსტერდამის ინტერნაციონალში, რადგან შეუძლებელია ორი პროფინტერნის არსებობა ერთდა იმავე დროს—მხოლოდ რუსეთის პროფკავშირებმა წამოაყენონ ეს მოთხოვნილება და მათ გზა დაკეტილი არა აქვთ.

## გაფიცვა ლონდონში

### კიდევ გაფიცვა.

სამხრეთ უელსის გაფიცვა ძლიერ ფართო ხასიათს ღებულობს, კარდიფში გაიფიცა 2.400 კაცი. შესაძლებელია გამოაცხადონ რკინის გზაზე საერთო გაფიცვა, თუ რკ. გზების სამმართველომ არ დააკმაყოფილა მემანქანეების და ცეცხლფარეშების მოთხოვნილებები.

### მთავრობა შეფიქრდა.

ელექტრონის და ტრანსპორტის მუშათა გაფიცვების გამო, ბრიტანეთის მთავრობამ იქონია მსჯელობა შექმნილ მდგომარეობაზე.

### გაფიცულების მოწოდება.

საგაფიცვო კომიტეტმა გამოსცა მოწოდება მუშებისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ყველა რკინის გზელი მუშის მოვალეობაა შეუერთდეს გაფიცულებსო.

### უკანასკნელი ცნობა.

ლონდონის გაფიცვები ძლიერდებიან. დახურულია 67 სადგური.

## გერმანია

### სკანდალი რეიხსტაგში.

შტრეზემანს თავის სიტყვა შეაწყვეტინა ნაციონალისტმა კვატცმა და დაუძახა, რომ მისი სიტყვა „მშვენიერი დაცვაა საფრანგეთის ინტერესებისო“ ამაზედ შტრეზემანმა უპასუხა, რომ „ეს არის უტიფრობაო“, რისთვისაც მას წესიერებისაკენ მოუწოდა თავმჯდომარემ.

### ასე ჩემო მონასეო...

მართალია სოციალ დემოკრატებმა მიიღეს ექსპერტების მიხედვება, მაგრამ სრულ ნდობას მაინც არ უცხადებენ მარქსის კაბინეტს და არც უნდათ, რომ იგი გადმოაგდონ, რადგანაც „გრძნობენ მთელ პასუხის მგებლობას გერმანიის ერის წინაშე“

### პარლამენტია თუ ბაზარი?

კომუნისტმა მასლოვსკიმ განაცხადა რეიხსტაგში, რომ ეს საპარლამენტო ბაზარი უფრო არწმუნებს კომპარტიას, რომ ეს პარლამენტი უნდა გაიგზავნოს ჯანდაბისაკენ.

### ნდობის გამოცხადება.

კენჭის ყრის შემდეგ მთავრობას გამოეცხადა ნდობა 46 ხმის უმრავლესობით.

### რეიხსტაგის დათხოვნა.

კომპარტიის ფრაქციის და ტევტონთა პროტესტის მიუხედავათ რეიხსტაგი დაითხოვეს 24 ივნისამდე.

---

## რადიო ყოველ მხრიდან

### კომუნისტებთან ბრძოლა ინგლისში.

ინგლისის მთავრობამ გამოყო კომისია, რომელსაც მიეცა განუსაზღვრელი რწმუნებანი კომუნისტების აგიტაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

### ამერიკელების წინააღმდეგ.

„დეილი მეილი“ იტყობინება, რომ ანტი ამერიკულმა მოძრაობამ ტოკიოში მიაღწია უმწვერვალესობასო. ამერიკის ელჩი ტოკიოდან გაემგზავრა ვაშინგტონში.

### იტალიაში.

იტალიის პარლამენტმა 361 ხმის უმრავლესობით 97 წინააღმდეგ გამოუცხადა ნდობა მთავრობას.

### სოციალისტების კონგრესი.

გერმანელ სოციალისტების კონგრესი დანიშნულია 11 ივნისისათვის.

### ლიტვის მთავრობის გადადგომა.

კოვნოდან მოსული ცნობით ლიტვის მთავრობამ შეიტანა გადადგომის ქაღალდი, რადგანაც სეიმმა უარყო კოვნო—მემელის რკ. გზის გაყვანის პროექტი, რომელიც მთავრობამ წარადგინა.

### იაპონიის მთავრობის გადადგომა.

რეიტერის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ტოკიოდან ვიკონტ-კიაურის მთავრობამ შეიტანა გადადგომის ქაღალდი.

---

## კომპარტიის ხელმძღვანელობით ბურჟუაზიის და შემთანხმებ. წინააღმდეგ

გერმანიის მმართველობის საჭეს კვლავ დაუბრუნდა სრული წინანდელი შემადგენლობით მარქსის კაბინეთი.

მოსვლისთანავე „ახალი“ მთავრობა თავის კანცლერის სახით გამოვიდა დეკლარაციით რეიხსტაგში. მან განაცხადა, რომ გერმანიის ხსნა არსებულ კრიზისიდან და მის გაჯანმრთელება შეიძლება მხოლოდ ექსპერტთა კომისიის დადგენილებების მიღებითო.

თავის დეკლარაციაში მარქსმა ხაზი გაუსვა ამ გარემოებას და განაცხადა რომ „ახალი“ მთავრობა შეეცდება მის სისრულეში მოყვანასო.

ამრიგად გერმანიის ბურჟუაზიამ მარქსის მთავრობის სახით გადასწყვიტა დაემორჩილოს ანტანტის ნებას და შეასრულოს ყოველივე მისი მოთხოვნილებანი. ჩვენ თავის დროზედ ავღნიშნეთ თუ რას წარმოადგენს ექსპერტთა კომისიის დადგენილება. ის განმეორებაა ვერსალის ხელშეკრულების და საშინელ ექსპლოატაციის, გაყვლეფის დღეებს უქადის გერმანიის მშრომელთა მასებს.

გერმანიის ბურჟუაზიამ საბოლოოდ გადასწყვიტა, რათა შეინარჩუნოს თავისი არსებობა კიდევ ერთხელ გასცეს მუშათა კლასი, გახადოს ის იმპერიალისტურ ანტანტის საწველ ფურად.

ამით გერმანიის ბურჟუაზია ორ კურდღელს კლავს: ერთის მხრივ ის უცხოეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მფარველობის ქვეშ თავიდან იცილებს პროლეტარულ რევოლიუციის საფრთხეს და მეორეს მხრივ ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს რეპარაციების განაღდების დროს თავისი წვლილი სარგებელიც გამოადნოს გერმანიის პროლეტარიატიდან.

და ამ საზიზღარ საქმეში მას კვლავ მხარი დაუჭირა ყოველგვარ სინდის დაკარგულმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ. არსებულ მომენტში მარქსის კაბინეტის გარშემო დაირაზმა მთელი გერმანიის შავი რეაქცია.

მარქსის დეკლარაციის წინააღმდეგ მხოლოდ კომუნისტებმა მიიტანეს სასტიკი იერიში. რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციამ განაცხადა, რომ კომპარტია უკანასკნელი სისხლის წვეთამდე შეებრძოლება ექსპერთა კომისიის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

დღეიდან სოციალ-დემოკრატია ვერ გაბედავს თავისი თავს უწოდოს მუშათა პარტიაო „განაცხადა ამხ. ფიშერმა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია გრძნობს ამ სიტყვების სიმართლეს, გრძნობს იმასაც თუ როგორ ეცლება ნიადაგი მის გავლენას მუშათა მასებში და გამხეცებული, ყოველგვარ სირცხვილს მოკლებული ის მიმართავს ყოველგვარ ბინძური საშუალებას კომპარტიის დასამარცხებლად.

მას აგინებენ გერმანიის ფაშისტები, მაგრამ ის სრულიადაც ყურს არ უგდებს მათ, არამედ ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ, რადგან იცის რომ მისი მესაფლავე, მისი განმანადგურებელი არის კომუნისტური პარტია და არა კაცი-ჭამია ნაციონალისტები, რომლის მაჩანჩალა და მონა თვითონ არის.

ამიტომ ის ბურჟუაზიასთან ერთად სდევნის კომუნისტებს, აპატიმრებს ციხეებში, ავრცელებს ათასგვარ ცილის წამებას და პროვოკაციას კომპარტიის წინააღმდეგ, რათა ამით შელახოს კომპარტიის ავტორიტეტი მუშათა მასებში. ამ მიზნით გერმანიის მთავრობა აგრეთვე მართავს კომუნისტების მთელ რიგ გასამართლებებს, რათა მშრომელთა მასების თვალში დაეცენ კომუნისტების ღირსება და სახელი.

მაგრამ ტყუილად სცდილობს გერმანიის პირ-სისხლიანი ბურჟუაზია და გამყიდველი სოციალ-დემოკრატია შეინარჩუნოს თავისი ავტორიტეტი მუშებში და შელახოს კომპარტიის ღირსება.

გერმანიის მუშათა კლასი არც ისე ბრმაა, რომ მათ პროვოკაციას მხარი დაუჭიროს.

ჩვენ გვწამს, რომ თვითეული ცილის წამება, თვითეული ლანძღვა-გინება, რომელიც გამოსროლილი იქნება კომუნისტური პარტიის მტრების ბანაკიდან, არამც თუ ჩამოაცილებს მუშებს კომპარტიას, არამედ უფრო მჭიდროდ დარაზმავს მის გარშემო. „მხოლოდ ბურჟუაზიასთან ბრძოლით შესძლებენ მუშები განთავისუფლდენ იმ ბორკილებისაგან, რომელიც მათ დაადვეს ექსპერტებმა. მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებით, გერმანიის პროლეტარიატი ნამდვილად დაამყარებს პროლეტარულ ზავს და შეუკავშირდება საბჭოთა კავშირს, რომელზედაც საერთაშორისო კაპიტალი დაიმსხვრევს კბილს“.

აი რას მოუწოდებენ გერმანიის კომუნისტები გერმანიის მუშებს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს რომ გერმანიის პროლეტარიატი როგორც ერთი გაჰყვება ამ მოწოდებას.

—ე.




## გურიის ახალგაზრდობა როგორც ერთი ჩადგა წითელ ჯარის რიგებში.

### ყველა მოითხოვს გაუსინჯავად მიღებას და ჯარის რიგებში გადაგზავნას.

28 მაისს დილით უკვე დაიწყო გაწვევა მაზრის 1902 წ. დაბადებულ ახალგაზრდობისა. 28—29 და 30 მაისს იწვევა ოზურგეთის რაიონის ახალგაზრდობა. დილიდანვე სავსეა გასაწვევ პუნქტის ეზო ახალ-გაწვეულებით. ჩვეულებრივ მხიარულ გურულ ახალგაზრდობის გულებს კიდევ უფრო ალაღებს ის გარემოება, რომ დღეს მათ მიეცათ საშუალება ერთად გაატარონ სამი დღე მუდამ სიმღერა ცეკვა მხიარულებაში.

### მიტინგი.

დილის 10 საათიდან ახალგაზრდობა იკრიბება ადგილობრივ თეატრის დარბაზში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა თანდასწრებით იხსნება საერთო კრება. მოხსენებით წითელი ჯარის მნიშვნელობა აუცილებლობაზე და ეხლანდელ გაწვევის შესახებ გამოდის ამხ. თ დოლიძე. მოხსენების შემდეგ დამსწრეთ განემარტათ გაწვევის ტეხნიკური მხარეები. გასაწვევი ახალგაზრდობა მეტად ასიამოვნა მოხსენებამ, რის შემდეგაც მხიარული სიმღერებით გადავედით გასაწვევ პუნქტის ეზოში.

### ახალგაზრდობის ენტუზიაზმი უჩვეულოა.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გურიის მცხოვრებთ არ ახსოვთ ასეთი ხალისი და ენტუზიაზმი გასაწვევ ახალგაზრდათა შორის, როგორც არის ეხლა. აუარებელი რიცხვი ახალგაზრდობისა, მიუხედავათ მათი ოჯახური ან და ფიზიკური მდგომარეობისა უარს ამბობენ შეღავათებზე და დაჟინებით მოითხოვენ ჯარში პირველ რიგში გადაგზავნას. ახალგაზრდობის უმრავლესობა უარს აცხადებს გასინჯვაზე, მაგრამ რასაკვირველია მათი განცხადებები ამ მხრივ უშედეგოთ რჩება და კომისია მოქმედებს თანახმად სამხედრო კომისარიატის ინსტრუქციისა.

### ჩვენი მუშაობა ახალწვეულებს შორის.

თავშესაკრები პუნქტი მორთულია პლაკატ—ლოზუნგებით, მოწყობილია საწოლები, მაგიდები. პუნქტს მიცემული აქვს სათანადო რიცხვი ბროშიურებისა და წიგნებისა. ეძლევათ ყოველდღიურათ 15 ცალი სხვა და სხვა გაზეთებისა და სხვა. პუნქტზე მიმაგრებულია რამოდენიმე აქტიური, მომზადებული კომკავშირის წევრები, რომლებიც რიგ-რიგობით მორიგეობენ იქ და შეკრებილ ახალგაზრდობის შორის აწარმოებენ საუბრებს. გაზეთებისა და ბროშიურების ხმამაღალ კითხვას და სხვა. განზრახული გვაქვს ყველა რაიონების ახალგაზრდობისათვის ცალცალკე მოეწყოს წარმოდგენები, ავამუშაოთ კინო და სხვა. ოზურგეთის მაზრაში საერთოდ გაწვევის საქმე ჩინებულათ მიმდინარეობს და დაგვრჩენია უსურვოთ გურულ ახალგაზრდობას ჯანმრთელობა და მომავალ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობის პირნათლად შესრულება.

გაუმარჯოს გურიის გასაწვევ ახალგაზრდობას, რომელიც დარაზმულად ყველა, როგორც ერთი, მიისწრაფის საქართველოს ახალგაზრდა წითელ-ჯარის რიგების შევსებათ.

ბ. კ—ძე.

---

## ლიტერატურული გასამართლება

31 მაისს მე-3-მე ლეგიონის თეატრში საღ. 5 საათზე შესდგა ლეგ. უფ. პოლიტ შემადგენლობის კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა სამკომი ამხ. ვ. ჯანგველაძე. მომხსენებლათ გამოვიდნენ დივიზიის უფროსი ამხ. ს. ლექვთაძე, დივიზიის კომისარი ამხ. ჟღენტი და სხვა ტფილისიდან ჩამოსული ამხანაგები, რომლებიც შეეხენ სადღეისო საკითხებს წითელ ჯარში. მოხსენებებს დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ უფ პოლიტ შემადგენლობა და მოამხსენებლები ხანგრძლივი ტაშით იქმნენ დაჯილდოვებული.

საღამოს, ამავე თეტრში ლიტ-წრემ მოაწყო გასამართლება „სურამის ციხის“ გმირი ქალი „ვარდუასი.“ 8 საათზე თეატრი სავსე იყო მაყურებლებით და გარდა უფ-პოლიტ შემადგენლობისა დაესწრენ გარეშე პირებიც. სასამართლოს თავმჯდომარეობდა წრის ხელმძღვანელი, მდივნობდა ს. მგელაძე. ვარდუას ბრალს სდებდნენ ამხ. დგებუაძე და ჭოხონელიძე, იცავდნენ ამხ. ბ. კაკაურიძე და გეგია.

სასამართლოს განკარგულებით 5 ნაფიცი მსაჯულები, რომელთა შორის ერთი ქალი იყო, აირჩია დამსწრე საზოგადოებამ. მხარეების პირველი სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს დამსწრე საზოგადოებიდანაც, რომელთა შორის ყველაზე მეტი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გაჩეჩილაძის ასულის სიტყვამ, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ვარდუას წინააღმდეგ და ბრალი დასდო მას. მხარეთა უკანასკნელი სიტყვების შემდეგ ნაფიც მსაჯულებმა გამოიტანეს განაჩენი, რითაც ვარდუა თავის მოქმედებაში იქნა ცნობილი დამნაშავეთ. საზოგადოებიდან ისმის „ვაშას“ ძახილი და კმაყოფილი დარჩენ გასამართლებით, რომელიც დამთავრდა 1 საათზედ.

სამკორი: ს. უ—შვილი.

---

## ქართულ მსროლელ დივიზიის საბიბლიოთეკო გამოფენა.

კვირას, 8 ივნისს, დივიზიის ცენტრალურ კლუბში, საღამოს 7 საათზე (პატარა დარბაზში) გაიხსნა ქართულ დივიზიის საბიბლიოთეკო პირველი გამოფენა, სადაც ჩვენი დივიზიის ნაწილების და პოლიტ-განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრენ აგრეთვე კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საბიბლიოთეკო ს ქციის გამგე, ამხ. პოპოვი, სამოქალაქო ორგანიზაციებიდან—პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკიდან ამხ. ციციშვილი და სხვები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დივ. პოლიტგანის სააგიტ-პროპო ნაწილის უფროსი ამხ. კ. გორდელაძე, რომელმაც დაახასიათა რა საბიბლიოთეკო მუშაობა და მისი ამოცანები—ხაზი გაუსვა მის ნაყოფიერ მუშაობას ჩვენს დივიზიაში და უსრვა კვლავ წინსვლა, ახალი მიღწევები.

გამოფენა გაგრძელდება ერთ კვირას და კრებამ გადასწყვიტა, რადგანაც ეს გამოფენა ქართულ დივიზიისა საბიბლიოთეკო დარგში, პირველი დემონსტრაციაა საჭიროა რომ ამას გაეცნენ ფართე საზოგადოება, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დაწესებულებებიდან.

გადაწყდა ეს ეცნობოს მთავარ პოლიტ-განათლების მმართველობას, რათა მან დაავალოს ყველა საბიბლიოთეკო მომუშავეებს (სამოქალაქოს) გაეცნან ამ გამოფენას, რომელიც ბევრს ახალს შესძენს სამოქალაქო ბიბლიოთეკების მუშაობას.

მოწვეულ ხალხისათვის და წითელ არმიელებისათვის წაკითხულ იქნება მოხსენებები, მოწყობილ იქნება ხმამაღალი კითხვები, საუბრები, ახსნა-განმარტებები და სხვა.

არჩეულ იქნა შემფასებელი კომისია (ჟიური) 5 კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შევიდენ შემდეგი ამხანაგები: 1. პოპოვი, 2. ციციშვილი, 3. მურადოვა, 4. ბახტაძე და 5. ქავთარაძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან შემდეგი ნაწილები:

1. დივიზიის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 2. 1-ლი ლეგიონი, 3. მე-2 ლეგიონი, 4. მე-3 ლეგიონი, 5. ცხენოსანი ლეგიონი, 6. საარტილერიო დივიზიონი, 7. ცალკე საკავშირო ასეული, 8. უნცროს მეთაურთა სკოლა და 9. საბიბლიოთეკო კოლექტორი.

ყველა ნაწილს აქვს თავისი კუთხე, სადაც გამოფენილია საბიბლიოთეკო ნამუშავარი. ყველას ეტყობა ერთგული ცდა და ამ დარგის ღირსეული ცოდნა. ყველა ერთ-მანეთზე უკეთესია.

დიდ ყურადღებას იპყრობს ცენტრალური ბიბლიოთეკის კედლის გაზეთები („საბიბლიოთეკო მოამბე“) №№ 1 და 2, სადაც მონაწილეობენ ყველა ნაწილის ბიბლიოთეკები.

წარმოდგენილია ნიმუშები: 1. დიაგრამები:

ა) წიგნების რაოდენობა ბიბლიოთეკებში განყოფილებების მიხედვით; ბ) მკითხველთა რაოდენობა თანამდებობების მიხედვით; გ) გაცემულ წიგნთა რაოდენობა განყოფილებების მიხედვით. 2. პლაკატები, 3. ლოზუნგები, 4. სარეკომენდაციო სიები, 5. ალბომები და 6. კედლის გაზეთები.

ბიბლიოთეკა ღიაა ყოველ დღე და შესვლა უფასოა.

სანი.

---

## ჩვენს ცენტრ-კლუბში

8 ივნისს, დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიმართა საღამო წარმოდგენა 1-ლი ლეგიონის ორკესტრის სასარგებლოდ, რომელსაც დაესწრენ წითელ-არმიელები და დივ-პოლიტ-შემადგენლობა ყველა ნაწილებიდან და დიდ-ძალი მუშა მოსამსახურენი.

პირველ ლეგიონის დრამ-წრის მიერ წარმოდგენილი იქნა „იასონის ოინები“ 2 მოქ, სადაც მოთამაშეთ ეტყობოდათ მომზადება (თეიმურაზში—ყიფიანს, ივანეში — სიხარულიძეს, და მსახურში—ჯაფარიძეს).

როგორც საღამოს მოწყობა, ისე მისი მხატვრულათ ჩატარება ღირსეულად შესძლო ამხ. სიხარულიძემ.

წარმოდგენის შემდეგ, ორკესტრმა შეასრულა, ამხ. დოლენკოს ხელმძღვანელობით, ათამდე №-რი როგორც ოპერებიდან, ისე ხალხური სიმღერები—ცნობილ კომპოზიტორთა და თვით ამხ. დოლენკოს „ლეგიონის მასაში.“

პირველ ლეგიონის ორკესტრი რომ გარნიზონში პირველია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა, რომელსაც დამსწრენი აღფრთოვანებული „ვაშათი“ და ტაშით შეხვდენ.

ორკესტრის გამოსვლის წინ ამხ. ვ. სიხარულიძემ მოკლედ დაახასიათა მუსიკის მნიშვნელობა საზოგადოდ და კერძოდ ჩვენს წითელ ჯარში. ამხანაგმა აღნიშნა ამხ. დოლენკოს დაუღალავი ენერგია ამ საქმეში, თუნდაც იმ სამი წლის დაკვირვებით, რაც რომ ამხ. დოლენკო პირველ ლეგიონში მსახურობს, სადაც დაიმსახურა, სამართლიანად, ყველას პატივისცემა და სიყვარული.

მან ყველა ამასთან ერთად ხაზი გაუსვა ამხ. დოლენკოს მუშაობას სხვა მხრივაც. მაგ. ობოლ ბავშვების თავისმოყრაში სიბავშვო სახლებიდან და ქუჩიდან, რომელნიც ამ ერთი წლის განმავლობაში ისე გაწვრთნა და დაახელოვნა, მამაშვილური აღზრდით, რომ დიდი ხნის მუსიკოსებს გაუთანასწორა; ბავშვებიც (12—16 წ.წ.), რომელთაგანაც შემდგარია ორკესტრი, გრძნობენ ამ დაუღალავ მასწავლებლის მამობრივ ცდას და ენერგიულად ეკიდებიან საქმეს.

საღამო დასრულდა ღამის ორის ნახევარ საათზე.

ს.

---

## ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

### კ. გელოვანის საქმე.

კონსტანტინე ბესარიონის-ძე გელოვანს, ცხ. ლეგიონის მეორე ესკადრონის მეკუჭნავეს ბრალდებოდა სახაზინო ქონების გაფლანგვა და მასზედ დროებით სახმარებლად მიცემული ლოგინის გაწყობილების მითვისება.

რევტრიბუნალი შეუდგა ამ საქმის გარჩევას ა. წ. 7 ივნისს და გამოძიების დროს გამოირკვა შემდეგი: წარსული წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაინიშნა კომისია მეორე ესკადრონის საკუჭნაოს ქონების გამოსარკვევათ. გაშინჯვის დროს კომისიამ აღმოაჩინა, რომ მრავალი ნივთები დაკარგულიყო. მაგ. 22 ცალი ძველი პერანგი, უნაგირები, გეტრები და სხვა.

საქმის ვითარებიდან გამოირკვა, რომ გელოვანი ყოფილა გამოუცდელი თავისი თანამდებობისათვის და თავის პირდაპირ მოვალეობას ეკიდებოდა ძლიერ გულ გრილათ და უყურადღებოთ. ძველი საცვლები და სხვა ნივთები, მეკუჭნავე გელოვანის მიერ, იცემოდა ფანჯრების საწმენდათ და საზოგადოთ სხვა საჭიროებისთვისაც, ისე რომ გაცემული ნივთების აღრიცხვას იგი არ აწარმოებდა. ამის დასამტკიცებელი საბუთი ის იყო, რომ ზოგიერთი დაკარგული ნივთები შემდეგ აღმოაჩნდათ ზოგიერთ წით-არმიელებს. ლოგინის მოწყობილობის შესახებ კი, სასამართლოში ისეთი ჩვენებები შევიდა, რომ ის ალბათ მიითვისა ბრალდებულმა გელოვანმა.

ამის გამო ტრიბუნალმა დამტკიცებულათ სცნო, რომ ბრალდებული გელოვანი გულგრილათ და უყურადღებოდ ეკიდებოდა თავის მოვალეობას, მაგრამ აღნიშნული დანაშაულობა მას ეპატია თანახმად ა. კ. ც. ა. კ. აპრილის ამნისტიისა, ხოლო სახაზინო ქონების მითვისება გაფლანგვისათვის, მას მიესაჯა ექვსი თვის ციხე წინასწარი დაპატიმრების დროს ჩათვლით.

---

## დივლაზარეთში.

საღამოა. მზე მიეშურება დასავლეთისაკენ დასასვენებლად.

ნელი სიო ოდნავ შესამჩნევად არხევს ხის ტოტებს.

ქუჩას გააქვს ხმაური.

ლაზარეთის კედელთან თავი მოუყრიათ წითელ არმიელებს და ბაასობენ

მათი ბაასის საგანს შეადგენს შვებულებაში წასვლის საკითხი. მოელიან ახალ წვეულებს, რომლებმაც ისინი უნდა გამოსცვალონ.

— ამხანაგო,—ამბობს ერთი,— მართალია ჩვენ აქ მოვიხადეთ ჩვენი ვალი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამით გავათავეთ სუყველაფერი და მეტი გასაკეთებელი არაფერი გვაქვს პირ იქით ჩვენ კიდევ დიდი სამუშაო გვიძევს წინ. სოფელს უნდა მოვახმაროთ ის ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, რაც აქ მივიღეთ და შევიძინეთ. ბოლო უნდა მოუღოთ ყოველგვარ სოფლის ცრუ მორწმუნეობას და მათი გამავრცელებელ მღვდლებს. ისმის ხმაურობა. მობაასე შეჩერდა. ეზოში შემოდიან ახალი წვეულები. მათ სახეებს სიხარულის ღიმი დასთამაშებს.

ლაზარეთის უფროსი ექიმი ლ. ცაგარელი მხურვალე სალამით მიეგება მათ და აუხსნა მათ თავიანთი მოვალეობა.

მისალმების შემდეგ წ. არმიელები დაიშალენ და შეუდგნენ თავის საქმის შესრულებას.

დ. ლაშისაღელი

# ახალი ამბები.

— **ფეოდოსიევის ეკლესია.** რადგანაც ფეოდოსიევის ეკლესიის საცხოვრებელ ბინებათ გადაკეთება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ახალი სახლის აშენება, ამიტომ განზრახულია იქ მოეწყოს ქალაქის მუზეუმი და არქივი.

— **უმუშევართა დაზღვევა.** მაისის განმავლობაში დაზღვეულ იქნა 2.285 კაცი.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** უმუშევრობასთან საბრძოლველ ფონდის გასაძლიერებლად, შრომის ბირჟამ დაადგინა გადარიცხოს, უმუშევართა არტელების მთელი შემოსავლის 2 პროცენტი.

— **ნავთის რეზერვუარები.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ფოთში არსებული ნავთის რეზერვუარები გადაეცა ს. მ. უ. საბჭოს.

— **მოწაფეთა ნამუშევრის გამოფენა.** კვირას, 8 ივნისს გაიხსნა მე-46 შრ. სკოლის მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დაიხურება 12 ივნისს.

— **მცირე წლოვანთა დანაშაულობანი.** დეფექტიურ ბავშვთა დაცვის განყოფილებაში შემოვიდა 70 საქმე ბავშთა დანაშაულობების შესახებ. აქედან 45 საქმე ქურდობაზე, 2 გარყვნილობაზე და დანარჩენიც სხვა და სხვა ხასიათის დანაშაულობებზე.

— **სკოლები ახალციხის მაზრაში.** 1923—24 წლის განმავლობაში ახალციხის მაზრაში გაიხსნა სულ 17 ოთხწლიანი შრომის სკოლა.

— **საკრედიტო ამხანაგობანი.** სასოფლო სამეურნეო ბანკის მიერ შემუშავებული პროექტი საკრედიტო ამხანაგობათა დაარსების შესახებ საკომსაბჭომ გადასცა იუსტიციის კომისარიატს და ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულს სათანადო დასკვნებისათვის.

### ქუთაისის ცხოვრება.

— **საკრებულო ტაძრის დანგრევა.** 3 ივნისს დაიწყეს ქუთაისის საკრებულო ტაძრის დანგრევა. მის ადგილას აშენდება ქალაქის თეატრი.

— **ეკლესიის ქონება.** ქუთაისის აღმასკომმა ყოფ. პეტრე-პავლეს ეკლესიის ქონება გადასცა მესამე ლეგიონის კლუბს.

— **საქსოვი ქარხანა.** ქუთაისის საქსოვმა ქარხანამ უკვე დაიწყო მუშაობა და მოკლე ხანში აამუშავებენ აგრეთვე ყველა მანქანებს.

## წითელ არმიელ. საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

### თვალთახედვითი ადგილობრივ პროცესებში ჩამოყალიბებული ციმბირის წყლული.

ციმბირის წყლულის გარეგანი ადგილობრივი პროცესი შეიძლება გამოიწვიოს „ბაცილების“ პირდაპირ, უშუალოდ შესევით და ამ „ბაცილებით“ აცრით; ამ მხრივ ჩნდება ორ გვარი „ციმბირის წყლული“: კარბუნკულური ავადმყოფობა, რომელსაც ეძახიან აგრეთვე „შავ ყვავილს“; ასეთ ავადმყოფობით ხდებიან ავად უმეტეს ნაწილად ცხოველები და რქოსანი საქონელი საზოგადოდ. „კარბუნკული“ წარმოადგენს ჯერ განსაზღვრულ, მაგარ, ცხელს და მასთან მტკივნეულოვან, და შემდეგ ცივს და უმტკივანო, ტყავის გასიებას, რომელიც ბოლოს გადადის „განგრენაში“ (ტყავის სიკვდილი); წყალმანკი, რომელსაც იწვევენ აგრეთვე „ციმბირის წყლულის ბაცილები“, წარმოადგენს ფართოს, პრტყელს, ცომის მსგავს, ხშირად მოთუმთუმე (флуктуирующая), ცივს და უმტკივანო ტყავის სიმძიმეს; ავადმყოფობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3—7 დღემდე; ამ ყალიბის „ციმბირის წყლულის“ მორჩენა შესაძლებელია და ხშირათაც ხდება. კარბუნკულები და წყალმანკები ხშირად ჩნდებიან პირის ბაგეშიაც და კერძოდ „ენაზე“ (ენის ციმბირის წყლული), სასაზე და ყანყრატოზე (სასას ციმბირის წყლული), ასეთ ავადმყოფობის დროს შემდეგ ნიშნებს ვამჩნევთ: სიცხეს, თვლემას, ყანყრატოს შებორკვას, ყლაპვის შეზღუდვას, საერთო სიყვითლეს, ქვემო ყბების შუა—სიმძიმეს. ამ ყალიბის სატკივრით ავად ხდებიან მომეტებულ ნაწილად: ძაღლები და ღორები. ცხოველი კვდება 12—24 საათის განმავლობაში.

### ციმბირის წყლული ადამიანზე.

ამ სენით ხშირად ხდებიან ავად: ვეტ ექიმები, სალახები, ტყავების დამზადებელ—გამეეთებლები, მწყემსები, რომელთაც იგი ეყრება იმ დროს, როც იგინი ლეშს სჰრიან სხვა და სხვა მიზნით. ავადმყოფობა იწყება ადგილობრივი „კარბუნკულის“ სახით ხელებზე, სახეზე, კისერზე და სხვა; ამას ემატება სიცხე და ბოლოს ადამიანი კვდება.

### დიაგნოზი.

ვინაიდგან „ციმბირის წყლული“ თავის მკაცრი თვისებით და მსვლელობით წააგავს ცხოველების ბევრ სხვა და სხვა გადამდებ სატკივარს, ამიტომ მარტო თვალთახედვითი ნიშნებით მისი გამოცნობა ძრიელ ძნელია და სხვა სატკივრებთან მისი არევა ადვილად შეიძლება; აქედან აშკარაა—რომ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ ზემოდ აღწერილ ნიშნებთან ერთად ჩვენ თვალწინ იშლება ციმბირის წყლულის „ეპიზოოტიური“ ხასიათი და თუ, ყოველ თვითეულ შემთხვევაში, დაავადმმოფებულ სხეულში აღმოვაჩენთ აღნიშნულ სენის „ბაცილებს“ და „სპორებს“. ამიტომ მკვდარი ცხოველის თვალთახედვითი (მიკროსკოპია) გამოკვლევის გარდა, საჭიროა მისი „ბაქტერიოლოგიური“ და მიკროსკოპიული გამოკვლევაც.

მეორე დიაგნოსტიური საშუალება არის აცრა, არა როგორც მოსარჩენი, არამედ როგორც აღმოსაჩენი საშუალება. ასაცრელ მასალად იხმარება: სისხლი, ლორწო, განავალი, რომელთა მცირეოდენი ნაწილიც რომ შევიყვანოთ ცხვრის, თაგვის და კურდღელის ტანში—მივიღებთ „ციმბირის წყლულის“ მთელ სურათს და ცხოველის სიკვდილსაც.

(გაგრძელება იქნება)

**ბასრი.**

## სამეურნეო განყოფილება.

### წყლის მნიშვნელობა მცენარისათვის.

მცენარე ცოცხალი არსებაა. მის გასანვითარებლათ და საზრდოთ წყალი ერთ უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს.

ისე, როგორც ადამიანი, ან საქონელი ვერ იარსებებს უწყლოთ, მცენარეც უიმისოთ ვერ იცოცხლებს.

წყალი მცენარეს მრავალ სხვა და სხვა საჭიროებათათვის უნდა. პირველათ ყოვლისა, ის აძლევს მცენარეს საშუალებას ნიადაგიდან საკვები ამოსწოვოს. მცენარეულობის საკვებ ნივთიერებას ნიადაგში წყალი ხსნის; ამ გახსნილ ნივთიერებებს მცენარის ფესვები ადვილათ ითვისებს.

გარდა ამისა, წყალი ხელს უწყობს მცენარეს შეთვისებული საკვები გადაამუშაოს და მიაწოდოს ტოტებს, ფოთლებს და სხ. ნაწილებს. წყალი ხელს უწყობს მცენარის ყვავილობას, ნაყოფის დამწიფებას და სხვა. ზემოხსენებულიდან აშკარათა სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის წყალს.

ეხლა შევისწავლოთ საიდან შოულობს მცენარე მისთვის საჭირო წყალს.

უმთავრესი წყლის მარაგს მცენარე შოულობს წვიმის წყლიდან. წვიმის წყალს ნიადაგი ისრუტავს და იმით ჰკვებავს მცენარეს. ამას გარდა მცენარე სარგებლობს ნიადაგის ქვევითა ფენების წყლით, რომელსაც ქვენიადაგის წყალი ეწოდება. მაგრამ ყოველგან და ყველა მცენარეს არ შეუძლია ქვენიადაგის წყლით სარგებლობა.

წყლის სიღრმე სხვა და სხვა ქვენიადაგში ერთნაირი არ არის. ზოგან ეს წყალი უფრო ღრმათ არის და ამ შემთხვევაში მცენარის ფესვები იმით სარგებლობას ვერ ახერხებენ.

ხშირად ქვენიადაგის წყალი ძლიერ ღრმათ არ არის, მაგრამ მცენარის ფესვები მას მაინც ვერ უწევენ. ამის და მიუხედავათ მცენარე მაინც სარგებლობს ამ წყლით.

ამის გასაგებად უნდა შევისწავლოთ ნიადაგის ერთი თვისება. ყოველგვარი ნიადაგი შესდგება უმეტესად პატარ-პატარა ნაწილაკებისაგან. ამ ნაწილაკებს შორის არის ძლიერ ვიწრო მანძილი. აი, ამ ვიწრო ხვეულებში, რომელთაც კაპილიარები ეწოდება, ნიადაგი ისრუტავს წყალს სიღრმიდან.

ამ რიგათ, წყალი ნიადაგის ქვედა ფენებიდან ზევით ამოდის და მცენარეს ასაზრდოებს. მაშასადამე მცენარეს შეუძლია ისარგებლოს ქვენიადაგის და უმთავრესად კი წვიმის წყლით.

მაგრამ ხშირია ასეთი შემთხვევა: წვიმა არ მოდის, ქვენიადაგის წყალი კი მცენარეს არ ჰყოფნის, ზოგ ადგილას კი, ქვენიადაგს წყალი მიუწვდომელია მცენარისათვის. ამ შემთხვევაში ერთად ერთ საშუალებათ მცენარის წყლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მორწყვა უნდა ჩაითვალოს. უწყლოთ ჩამომხმარი მცენარე მორწყვით უნდა გამოვაცოცხლოთ. მაგრამ მორწყვასაც ცოდნა უნდა. ამასთანავე ყოველგვარი წყალი არ ვარგა მოსარწყავათ. ამაზე შემდეგში.

**მეურნე.**

## სამხედრო საქმე.

### მტრის ქიმიურ თავდასხმისათვის მზადების ნიშნები.

მტრის აირ-ბალონების იერიშის წინ ქიმიურ მოთვალთვალეს წინ გადაეშლება ზოგიერთი ისეთი სურათი, რაიც საუკეთესოთ დაახასიათებს მტრის ქიმიურ თავდასხმისათვის სამზადისს. როდესაც მოწინააღმდეგის მოწინავე ხაზებზე დაიწყება მასსიური მუშაობა და ამავე დროს თვით თხრილების მოხაზულობა არსებითათ არ იცვლება—ეს მოასწავებელია აირ-ბალონიანი იერიშისა. ამაზედვე მიგვითითებს ოთხ თვალებისა და ხალხის გაძლიერებული მოძრაობა მოწინააღმდეგის პოზიციის მოწინავე საზღვრებში. მოწინავე არეში სხვა და სხვა ალაგას გამოჩნდება თვალ თვალის წერტები, ხშირად დროებითი ხასიათისა. ამავე ზოლში, უმთავრესად ჩნდება ტელეფონის ხაზის ახალი ქსელი. ზურგთან შესაერთებლად ითხრება ახალი სავალი გზები. ამავე დროს იწარმოებს იმავე ფარგლებში ბანსანგრევის საიდუმლო მუშაობა. და ბოლოს, აირის უმნიშვნელო სუნი, როდესაც ქარი მტრის მხრიდან უბერავს და ბალონების გადატანა-გადმოტანისას და დალაგების დროს ლითონისებური ხმაურობა—ეს ყველა ჩამოთვლილი ნიშნებია მტრის მიერ ქიმიურ ამ გვარ საშუალების მოხმარების სამზადისისა. ხშირად კვამლის ტალღის იერიშისათვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ნიშნები არ არსებობს.

ქიმიურ ნაღმტყორცნების სროლის დაწყების წინ, უახლოეს ზურგის მოწინავე არეში გამოჩნდება მოხნული მიწის ზოლი, რომელსაც ტრანშეის სახე არა აქვს; აქვე ამ ხაზის უკან უშუალო სიახლოვეზედ იწარმოებს მიწის სხვა და სხვა სათხრელი სამუშაო; ამავე ხაზზედ იწარმოებს მუშაობა ბანსანგრევის ასაგებათ.

უახლოეს ზურგში ოთხთვალების გაძლიერებული მოძრაობა იქნება; ნაჩვენებ ხაზზედ და მის საზღვრებში ხალხის ჩოჩქოლი და გაძლიერებული მოძრაობა იქნება გაჩაღებული.

გამოჩნდება თვალთვალის ახალ-ახალი წერტები, ტელეფონის ქსელის ახალი ხაზები, სავალი გზის ახალ-ახალი შტოები და სხვა.

ყველა ზემო ჩამოთვლილი ნიშნები მოთვალთვალესათვის წარმოადგენს არსებით მნიშვნელოვან საბუთებს ამა თუ იმ ქიმიურ საშუალების თავდასხმის განსაზღვრისათვის. ყოველ შემჩნეულ მოვლენაზედ იგი ამცნობებს თავის ნაწილებს, რომელნიც სათანადო ზომების მიღებით, თავიდან აიცილებენ მტრის მიერ განზრახულ საფრთხეს.

**გ. ბ—შვილი.**

### ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ჯიქიძეს**—არ წავა. სუსტია. გამოგზავნეთ შენიშვნები, კორესპონდენციები.

**ამხ. ჭკადუას.** კანტორის მიერ მიღებულია სათანადო ზომები გაზეთის მიწოდების საქმის გაუმჯობესების მხრივ.

## ვინ იცის მათი უარყოფითი მხარეები?

ქართულ დივიზიის პარტ-კომისიაში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღებაზე, შემდეგ ამხანაგებს:

1. **ლვ ნერია ივანე კოსტას ძე,** 2. **ნუცუბიძე ვალერიანე მიხეილის ძე,** (ქართ. დივ. მესანგრე ასეულის) 3. **წულუკიძე შალვა ვარლამის ძე,** 4. **ძაგანია აქვსენტი თედორეს ძე,** 5. **მუსერიძე სილბისტრო ეფრემის ძე,** 6. **ჯაყელი ნიკოლოზ მიხეილის ძე,** 7. **შალამბერიძე აკაკი დიმიტრის ძე,** 8. **ლომჯარია ისაკი ნესტორის ძე,** (1-ლ ქართულ ლეგიონის).

ქართული დივიზიის პარტ კომისია გთხოვთ, თუ ვინმემ იცით უარყოფითი მხარეები აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, გვაცნობეთ წერილობით, ან სიტყვიერათ პარტ-კომისიას.

**მისამართი:** რუსთვ. პრ. სახლი ყოფ. კადეტის კორპუსი. ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილება, პარტ-კომისია.

**ქართ. დივიზიის პარტ-კომისია.**


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.